საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/21619
28/12/2021

21619-2-03-2-202112280953

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
პირდაპირი მიყიდვისა და სასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის განკარგვის სამსახურის
უფროსს ბატონ **ლაშა დვალიშვილს**

ბატონო **ლაშა,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2021 წლის 8 დეკემბრის №6/76019 წერილი, რომელიც შეეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სოფელ ნახშირღელეში მდებარე 3 ერთეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდ(ებ)ი: N33.04.37.406; N33.04.37.366; N33.04.36.202) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული უძრავი ქონების განკარგვა, კერძოდ:

- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის **თბილისი - სენაკი - ლესელიძის საავტომობილო გზის კმ 216 (ნახშირღელეს სატრანსპორტო კვანძი) - ქუთაისი - სამტრედიას** საავტომობილო გზის კმ2-ის მიმდებარედ, ს/გზის ღერძიდან მარჯვენა მხარეს 12 მეტრის დაშორებით არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N33.04.36.202) განკარგვა.
- საერთაშორისო მნიშვნელობის **თბილისი - სენაკი - ლესელიძეს (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)** საავტომობილო გზის კმ219-ის მიმდებარედ, ს/გზის ღერძიდან მარჯვენა მხარეს, მიწის ვაკისის ყრილის ძირიდან **1.7** მეტრის დაშორებით არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N33.04.37.406) განკარგვა, საავტომობილო გზის მიწის ვაკისის ყრილის ძირიდან **25** მეტრის ფარგლებს მიღმა.

საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 თებერვლის №289 განკარგულება.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 თებერვლის №289 განკარგულების „წითელი ხიდი - თბილისი - სამტრედია - გრიგოლეთი - სარფის მიმართულებაზე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პერსპექტიული განვითარების განთვისების ზოლში და საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიებზე მომსახურების კომპლექსებისა და დასვენების ადგილების განთავსების ღონისძიებათა შესახებ", დანართის - დასვენების ადგილების და მომსახურების კომპლექსების განლაგების სქემის ექსპლიკაციის შესაბამისად, საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე **აკრძალულია** მომსახურების კომპლექსების (ახალი დასვენების ადგილების, ავტოტექმომსახურებისა და ავტოგასამართი სადგურების, სასტუმროების, სავაჭროს და კვების ობიექტების) ან ცალკეული ობიექტების მშენებლობა და ფუნქციონირება.

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N33.04.37.406) ს/გზასთან პირდაპირი მიერთება ვერ მოხდება, ავტოტრანსპორტის შესვლა-გამოსვლა და მასთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სატრანსპორტო კვანძის და არსებული შიდა საგზაო ქსელის მეშვეობით, რომლის მოწყობის ვალდებულებაც დაეკისრება მოცემული მიწის ნაკვეთებით დაინტერესებულ პირებს.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N33.04.37.366) მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის **თბილისი - სენაკი - ლესელიძეს (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)** საავტომობილო გზის ღერძიდან 100 მეტრის ფარგლებს მიღმა. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის განკარგვის საკითხის განხილვა სცილდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფლებამოსილებას.

საქართველოს კანონის ,,საავტომობილო გზების შესახებ“ 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) **შეუთანხმებლად აკრძალულია** ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე